Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#31, თებერვალი, 2026

ულტრანაციონალიზმის აღზევება კონსოლიდირებულ დემოკრატიებში: ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შედარებითი ანალიზი

ლიზა ჯომიდავა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: liza.jomidava416@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა პოპულისტური ულტრანაციონალიზმის აღზევებაა, რომელიც კონსოლიდირებულ დემოკრატიებში უკიდურესი მემარჯვენე ლიდერების, პარტიებისა და ჯგუფების გაძლიერებით გამოიხატება. თანამედროვე ევროატლანტიკურ პოლიტიკურ სივრცეში სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება ულტრანაციონალისტური რიტორიკა და პრაქტიკა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ექსტრემისტულ მახასიათებლებს იძენს და დემოკრატიული დისკურსის საზღვრებს სცილდება.

წინამდებარე ნაშრომი შედარებითი თვისებრივი და ემპირიული ანალიზის საფუძველზე იკვლევს პოლიტიკური მითის გამოყენებას ულტრანაციონალისტური ძალების მიერ პოლიტიკური მობილიზაციის კონტექსტში გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. კვლევა მიზნად ისახავს როჯერ გრიფინის პალინგენეტიკური ულტრანაციონალიზმის თეორიაზე დაყრდნობით გაანალიზოს ,,ტრამპიზმისა" და ,,ბრექსიტის" სტრატეგიები და დაადგინოს როგორ ხდება წარსულის დიდების მითოლოგიზაცია პოლიტიკური მობილიზაციისთვის. არსებული მიზნის გათვალისწინებით, საკვლევი კითხვა ფორმულირდა შემდეგნაირად: როგორ გამოიყენება ეროვნული აღორძინების მითი პოპულისტური ულტრანაციონალიზმის ლეგიტიმაციისთვის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში? კვლევის ამოცანებს წარმოადგენს ულტრანაციონალიზმის ცნების თეორიული ჩარჩოს გაანალიზება, ,,ტრამპიზმისა" და ,,ბრექსიტის" მსგავსება-განსხვავებების შეფასება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე და მათი შედარებითი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ულტრანაციონალიზმი, ულტრამემარჯვენეობა, ტრამპიზმი, ბრექსიტი, პოლიტიკური მითი, პოლიტიკური მობილიზაცია.

შესავალი

როჯერ გრიფინი ფაშიზმს განმარტავს როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელიც პოპულისტური ულტრანაციონალიზმის პალინგენეტიკური ფორმაა (Griffin, 1991). ფაშიზმი თავის თავში მოიაზრებს ულტრანაციონალიზმს და იყენებს მას როგორც საყრდენს უტოპიური, რეალობაში განსახორციელებლად შეუძლებელი მიზნების მისაღწევად - ხალხს პოლიტიკური მითისა და ,,მამის ფიგურის" გარშემო აერთიანებს საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ტერმინი ,,პოლიტიკური მითი" არ აღნიშნავს მხოლოდ სპეციფიკური ისტორიული მითების ექსპლუატაციას ლეგიტიმური პოლიტიკისთვის, არამედ ყველა იდეოლოგიის ირაციონალურ სათავეს, მიუხედავად მისი ზედაპირულობისა. მიუხედავად იმისა, რომ ფაშიზმი მოიაზრებს ულტრანაციონალიზმს და შეიცავს მისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, ეს ორი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება.

პოპულისტური ულტრანაციონალიზმი უარყოფს, როგორც აბსოლუტიზმის, ასევე პლურალისტური წარმომადგენლობითი მმართველობის პრინციპებს. იგი უარყოფს, პოლიტიკის როგორც ტრადიციულ, ისევე რაციონალურ ფორმებს ქარიზმატული ლიდერების სასარგებლოდ, სადაც რეჟიმის სტაბილურობა დამოკიდებულია მათ უნარზე, შთააგონონ ხალხს ლოიალურობა და მოქმედება. ეს კონცეპტი დაკავშირებულია ერის, როგორც ,,პროტაგონისტის" კონცეპტთან, სადაც ის "უფრო მაღალი" რასობრივი და სულიერი წარმონაქმნია, რომლის ,,დაბინძურებაც" შესაძლებელია იმიგრაციით, თანამედროვე ლიბერალური იდეებითა და ,,უცხო ძალით".

ულტრანაციონალიზმის ძირითადი ელემენტია ქსენოფობიური კულტურების ერთობლიობა და ერის აღორძინებისკენ სწრაფვის სურვილი, რაც მას განასხვავებს ნაციონალიზმისა და ფაშიზმისგან. ფაშიზმი ირაციონალურ იმპულსებზეა დაფუძნებული, უტოპია, რომლის განხორციელებასაც ცდილობს, რეალობაში ვერასდროს მიიღწევა, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, ის საკმაოდ მყიფეა და მხარდამჭერებს ძირითადად პირადი მოტივები უფრო გააჩნიათ. ამგვარად, ულტრანაციონალიზმი და ფაშიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს, ერთმანეთისგან იდეოლოგიურად განსხვავდება.

პოპულისტური ულტრანაციონალიზმი მეოცე საუკუნეში არ გამქრალა და დღეს თავს იჩენს ამერიკულ დღის წესრიგში. 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპმა ის ულტრაკონსერვატორული ღირებულებები განასახიერა, რომელიც ამერიკულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე ხორცშესხმული. რადიკალურმა დაპირებებმა და რიტორიკამ ამერიკის დიდებული "ოქროს ხანის" შესახებ მემარჯვენე ნაციონალისტი ელექტორატი მის

ირგვლივ გააერთიანა და რადიკალ-მემარჯვენეთა დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ანატოლ ლიევენის მიხედვით, "ამერიკულ ანტითეზისს" წარმოადგენს ამერიკული ნაციონალიზმის ორი განსხვავებული რადიკალური ელემენტი - დიდებული მომავლისკენ სწრაფვა და დიდებულ წარსულში ყურება, რომელიც ცენტრალური ფიგურაა რესპუბლიკურ მემარჯვენეობაში (Lieven, 2004). ორივე კომპონენტი ნათლად ჩანს დღესდღეობით ყველაზე პოპულარულ ფრაზაში: "Make America Great Again". აღნიშნული ელემენტი ძირითადად მემარჯვენე ქრისტიანებს ახასიათებთ, რომლებიც ამერიკის "დაბრუნებასა" და ძველი, უფრო წმინდა საზოგადოების რესტავრირებაზე აკეთებენ აქცენტს. ლიევენი აღწერს ამერიკული ნაციონალიზმის ორ ურთიერთდამოკიდებულ სახეს, რომლებსაც უწოდებს "ამერიკულ კრედოსა" და "ჯექსონისეულ ნაციონალიზმს". "ამერიკული კრედო" მოიაზრებს იმ ლიბერალურ ღირებულებებს, რომელებზეც ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კონსტიტუციაა აშენებული და რომელიც აკავშირებს ამერიკას სხვა დემოკრატიულ საზოგადოებებთან. რაც შეეხება "ჯექსონისეულ ნაციონალიზმს", იგი ეთნორელიგიურ ფესვებზე დგას, თუმცა შეუძლია სხვადასხვა იდენტობის დიფუზია "თავდაპირველ" ამერიკულ საზოგადოებასთან.

ულტრანაციონალისტური დისკურსი არ წარმოადგენს მხოლოდ ამერიკულ ფენომენს და ბრიტანულ პოლიტიკურ კონტექსტშიც მკაფიოდ იჩენს თავს. კერძოდ, "ბრექსიტის" კამპანიასა და ანტიიმიგრაციულ რიტორიკაში. კონსერვატიული ბრიტანული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია მასობრივი იმიგრაციის საკითხი, რომელიც ქვეყნის კულტურისა და ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქმევა. ამ კონტექსტში საქმე გვაქვს წარსულში საუკუნოვან მსოფლიო ჰეგემონთან, რომლის "დაცემა" და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის დასუსტება რთულად გადასატანია ბრიტანული საზოგადოებისთვის.

ულტრანაციონალიზმის აღზევება კონსოლიდირებულ დემოკრატიებში დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალური საკვლევი თემაა, რადგან, ტრადიციულად, კონსოლიდირებული დემოკრატია განიხილებოდა როგორც ყველაზე სტაბილური სისტემა, სადაც ინსტიტუციური ბალანსი, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებები ეფექტურად ზღუდავდა ექსტრემისტური იდეოლოგიების აღორძინებას. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როდესაც აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში განსაკუთრებულად გაძლიერდა რადიკალური ულტრამემარჯვენე დამოკიდებულებები, დემოკრატიული სისტემის სტაბილურობა და ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგა.

ნაშრომში აღნიშნული ორი სახელმწიფოს შემთხვევა შედარებითი ანალიზის საფუძველზე განიხილება სამი ძირითადი კრიტერიუმით: ეროვნული დეგრადაციის ნარატივი, აღირძინების პოლიტიკური მითი და ქარიზმატული ლიდერის როლი.

შემთხვევითი არ ყოფილა კვლევის ობიექტებად ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შერჩევა. ორივე მიიჩნევა კონსოლიდირებული დემოკრატიის ეტალონად ხანგრძლივი კონსტიტუციური ტრადიციით, პლურალიზმით, თავისუფალი არჩევნებითა და სასამართლო სისტემით. სწორედ ამიტომ, ორივე ქვეყნის საზოგადოებაში ულტრანაციონალიზმის აღზევება შედარებით ერთნაირ სოციალურ და პოლიტიკურ ნიადაგზე კვლევისთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სახელმწიფო ლიბერალური ღირებულებების მთავარ "ექსპორტიორებად" და საერთაშორისო სისტემაში ანგარიშგასაწევ მოთამაშეებად ითვლება.

აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, საკვლევი კითხვაა, თუ როგორ გამოიყენება ეროვნული აღორძინების მითი პოპულისტური ულტრანაციონალიზმის ლეგიტიმაციისთვის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში? კვლევის მიზანია დაადგინოს, როგორ იყენებენ ულტრამემარჯვენე ძალები აღორძინების მითს საკუთარი პოლიტიკური აგენდის გასატარებლად "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ხოლო, კვლევის ამოცანები კი შემდეგნაირად განისაზღვრა: გაანალიზდეს ულტრანაციონალიზმის ცნების ჩარჩო როჯერ გრიფინის თეორიის მიხედვით, ამავე თეორიის მიხედვით გაკეთდეს "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" შედარებითი ანალიზი წინასწარ განსაზღვრული სამი კრიტერიუმის საფუძველზე.

საკითხის პრობლემას და ამ კვლევის შედარებით ჩარჩოს განაპირობებს ფაქტი, რომ ორივე სახელმწიფო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე, კონსოლიდირებული დემოკრატიაა, თუმცა ულტრანაციონალიზმის აღზევების შესაჩერებლად იდეალთან ყველაზე ახლოს მდგომი სისტემაც კი საკმარისი არ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა ყურადღება მიექცეს ულტრამემარჯვენე რიტორიკის გავრცელების ნიადაგს აღნიშნული პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის პირობებში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, კერძოდ, მთავარ ინსტრუმენტებს წარმოადგენს თეორიული ინტერპრეტაცია და შედარებითი ანალიზი. წინასწარ განსაზღვრული თეორიული ჩარჩო (როჯერ გრიფინის პალინგენეტიკული ულტრანაციონალიზმი) გამოიყენება მეორეული ემპირიული მონაცემებისა და ორი

განსხვავებული პოლიტიკური ფენომენის შედარებითი ანალიზისთვის. გარდა, ძირითადი თეორიისა, რომელის არსებული კვლევის ფუნდამენტური საფუძველია, გამოიყენება ისეთი მეორეული ემპირიული მასალები, როგორიცაა საპრეზიდენტო სიტყვა, სამთავრობო დოკუმენტები და პოპულარული, ფართოდ ციტირებადი სტატიები.

საკვლევი საკითხისა და მეთოდოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო გახდა ორი შედარებით რელატიური შემთხვევების ანალიზი, რომლებსაც ამ ნაშრომში წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. ორივე ქვეყანა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კლასიფიცირდება როგორც კონსოლიდირებული დემოკრატია, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების მაღალი მაჩვენებლით (Freedom House), თუმცა ამასთან ერთად, ორივე ქვეყანაში შეინიშნება ულტრამემარჯვენე ძალებისა და განწყობების სწრაფი გაძლიერება და გავრცელება, რაც მათ მნიშვნელოვან და სამეცნიერო ანალიზისთვის რელევანტურ კვლევის ობიექტებად აქცევს. ზემოთ ხსენებული ორი შემთხვევის შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა საყრდენი თეორიის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე გამოიკვეთოს ის მთავარი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" პოლიტიკურ ფენომენებს ახასიათებთ.

კვლევისთვის ექსპერტების შერჩევის მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენდა აკადემიური და ანალიტიკური გამოცდილება. ისევე, როგორც მათი სანდოობა და პრესტიჟი პოლიტიკის მეცნიერების სფეროში. საკვლევი საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძირითადი თეორიისთვის საჭირო გახდა ამ კონკრეტულ საკითხში სპეციალიზიბული, ფართოდ ციტირებადი ავტორის ძიება, რომლიც სრულფასოვნად განიხილავდნენ წარმოდგენილი თემის არსს. შეირჩა როჯერ გრიფინის ნაშრომი, რადგან მისი პალინგენეზის თეორია ზუსტად ხსნის თანამედროვე ულტრანაციონალისტური ძალების აღორძინების პროცესებს.

აღნიშნული კვლევა გარკვეული შეზღუდვებით წარიმართა. პირველ შეზღუდვას საკვლევი არეალის სიმცირე. კვლევა ფოკუსირებულია მხოლოდ ორ სპეციფიკურ ანგლო-საქსურ დემოკრატიაზე, რის გამოც კვლევის მიგნებები სხვა გეოპოლიტიკური არეალის კონტექსტზე ვერ განზოგადდება. მეორე შეზღუდვა მდგომარეობს ინტერვიუების ჩატარების შესაძლებლობის არქონაში, საკითხის სპეციალისტების დეფიციტისა და შეზღუდული დროის მონაკვეთის გათვალისწინებით.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული შეზღუდვისა, კვლევა საშუალებას იძლევა სრულფასოვნად გაანალიზდეს ულტრანაციონალისტური დისკურსი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" შემთხვევებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, აღნიშნული კვლევა არის ქართულ მეცნიერულ სივრცეში შედარებით ანალიზზე დაყრდნობით

ულტრანაციონალიზმის ბუნებისა და მისი თავისებურებების შესწავლის ერთ-ერთი პირველი მცდელობა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ულტრანაციონალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება პოლიტიკის მეცნიერებაში არ არსებობს, ფართოდ კლასიფიცირდება როგორც ნაციონალიზმის რადიკალური, ექსტრემისტული ფორმა, რომელიც მთავარ მნიშვნელობას ერ-სახელმწიფოს ანიჭებს და ყველას ინტერესებზე მაღლა აყენებს. ახასიათებს საკუთარი ერის გამორჩეულობის რწმენა, რაც თავს გამოხატავს რასისტულ და ქსენოფობიურ განწყობებში.

როჯერ გრიფინის მიხედვით, "ფაშიზმი პოლიტიკური იდეოლოგიის ნაირსახეობაა, რომლის მითიური ბირთვი, მის სხვადასხვა პერმუტაციაში, პოპულისტური ულტრანაციონალიზმის პალინგენეტიკური ფორმაა" (Griffin, 1991, p. 26). პალინგენეტიკური ულტრანაციონალიზმი არის ამ უკანასკნელის ისეთი ფორმა, რომლის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ეროვნული აღორძინების მითი. იგი ეფუძნება რწმენას, რომ ერის დგას ღრმა კრიზისის, დეგრადაციის, დაცემის წინაშე და რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ რადიკალური გარდაქმნებით, რომლებიც გამოიწვევს ერის ახლად დაბადებას. გრიფინის მიხედვით "პალენგენეზი გულისხმობს ახალი დასაწყისის განცდას ეროვნული დაშლის ან დეგრადაციის პერიოდის შემდეგ" (Griffin, 1991, p. 33). ამასთან ერთად, მკითხველს სთავაზობს ულტრანაციონალიზმისა და პოპულისტური ულტრანაციონალიზმის განმარტებასა და დიფერენციაციას.

ის ულტრანაციონალიზმს აღწერს როგორც ნაციონალიზმის იმ ფორმებს, რომლებიც "სცილდება" და უარყოფს ყველაფერს, რაც თავსებადია ლიბერალურ ინსტიტუტებთან ან განმანათლებლობის ჰუმანიზმის ტრადიციასთან. ხოლო პოპულისტური ულტრანაციონალიზმის აღწერისას ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ქარიზმატული ლიდერის უნარზე, შთააგონოს ხალხს ერთგულება და მოქმედება. ასევე განმსაზღვრელია ერის, როგორც "უმაღლესი" რასობრივი ან ისტორიული ორგანული რეალობის კონცეფცია, რომელიც შეიძლება "დაბინძურდეს" იმიგრაციითა და შერეული შთამომავლობით. გრიფინის ეს კონცეფციები უაღრესად მნიშვნელოვანია დღევანდელი ბრიტანული და ამერიკული ულტრანაციონალიზმის განსახილველად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ექსტრემალურ გამოვლინებებს არცერთ სახელმწიფოში არ ვხვდებით, ტრამპის ადმინისტრაცია შედარებით უფრო ახლოსაა პოპულისტური ულტრანაციონალიზმის ამ დეფინიციასთან.

პირველი კრიტერიუმი, რომლითაც "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" შეფასება შეგვიძლია ეროვნული დეგრადაციის ნარატივია. როჯერ გრიფინი (1991) პალინგენეზის არსს ფაშიზმის თეორიის საკვანძო ნაწილად განიხილავს. ეს ნიშნავს "ხელახლა დაბადებას" ეროვნული დაშლის ან დეგრადაციის შემდეგ. პალინგენეზის ცნება ეფუძნება პოლიტიკურ მითს, რომლის მიხედვითაც ერი-სახელმწიფო დიდების მწვერვალიდან დაცემულია, დეგრადირებულია და გადარჩენა ესაჭიროება (p. 34). ულტრანაციონალიზმის მიხედვით, ერი არის ზე-ინდივიდუალური ორგანული მთლიანობა, რომელიც იშლება ლიბერალიზმის, მულტი-კულტურალიზმისა და "უცხო სხეულების" გავლენით, ხოლო ერის გადარჩენა სწორედ ამ "უცხო სხეულებისგან" დისტანცირებით არის შესაძლებელი (Griffin, 1991, p.36-37). ტრამპის 2017 წლის საინაუგურაციო სიტყვაში მკაფიოდ ჩანს გზავნილი, რომ ამერიკა გადასარჩენია. მისი გამოსვლა დანგრეული ამერიკული საზოგადოების შესახებ, სადაც საშუალო კლასი დეგრადაციას განიცდის, მუშათა უფლებები დაუცველია, მილიარდები იხარჯება საერთაშორისო პროექტებსა და "არა-ამერიკული" ქვეყნების განვითარებაზე, როცა თავად ამერიკა უდიდეს კრიზისს განიცდის, რომელსაც ის "ამერიკულ სასაკლაოს" უწოდებს (American Carnage).

პარალელურად, ბრიტანული ულტრანაციონალიზმის კონტექსტში, ეროვნული დეგრადაციის აღქმა პირდაპირ დაუკავშირდა სუვერენიტეტის დაკარგვასა და ბრიტანული პოლიტიკური იდენტობის ეროზიას. ამას მოწმობს ბრექსიტის მომხრეების დისკურსი ევროკავშირის ბრიტანულ პოლიტიკურ კულტურასა და სისტემასთან შეუთავსებლობის შესახებ. დაწერილი კონსტიტუციის არარსებობის პირობებში, ძალაუფლება პარლამენტში მონარქის შეუზღუდავ სუვერენიტეტზეა დაფუძნებული, რაც ნიშნავს, რომ სისტემას არ შეუძლია ზენაციონალური ხელისუფლების მიღება - ეს კონსტიტუციის საფუძველს ეწინააღმდეგება (Keating, 2021). ეს ინსტიტუციური თავისებურება ულტრამემარჯვენე ძალებმა გამოიყენეს, როგორც არგუმენტი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის წინააღმდეგ. ზემოთ აღნიშნული ნარატივის გავრცელებას ხელი შეუწყო მეინსტრიმულმა პოლიტიკურმა რიტორიკამაც. 2017 წლის ტერეზა მეის გამოსვლის მიხედვით, ისეთი ძლიერი სუპრანაციონალური ინსტიტუტები, რომელიც ევროკავშირმა შექმნა, ნაკლებად თავსდება ბრიტანეთის პოლიტიკურ კულტურასა და ისტორიასთან (May, 2017). აღნიშნული არგუმენტები ეხმაურება გრიფინისეულ იდეას "ორგანული" მთლიანობის შესახებ, რომელიც თითქოს საფრთხის ქვეშაა გარეშე ძალების, ამ შემთხვევაში ბრიუსელის ბიუროკრატიის ზემოქმედებით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ეროვნული დეგრადაციის ნარატივი საერთოა და მისი დიაგნოზი ლეგიტიმაციის საფუძველი ხდება რადიკალური ცვლილებებისთვის (MAGA,

Brexit), განსხვავდება მათი აქცენტები. ამერიკის შეერთებულ შტატებში დეგრადაცია აღქმულია როგორც სოციო-ეკონომიკული და კულტურული საშიშროება, ხოლო ბრიტანეთში, ბრექსიტის შემთხვევაში, აქცენტი სამართლებრივ შეუსაბამობაზეა გაკეთებული.

მეორე კრიტერიუმი, რომელიც ნაშრომში განიხილება, არის პალინგენეტიკური მითის რეალიზაცია, ანუ ერის აღორძინება. როჯერ გრიფინის მიხედვით, ულტრანაციონალიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული დეგრადაციის ნარატივით, მისი მთავარი არსი პალინგენეზში, ანუ "ხელახლა დაბადებაში", ერისა და ქვეყნის აღორძინებაში მდგომარეობს. ეს მითი ამომრჩეველს სთავაზობს დაპირებას, რომ სახელმწიფოს დაუბრუნება ძველი დიდება და ავტორიტეტი (1991, p.33).

ტრამპი 2017 წლის ინაუგურაციის სიტყვაში ამერიკელებს ეროვნული დეგრადაციის შემდეგ აღზევებასა და კეთილდღეობას ჰპირდება. "ამერიკული სასაკლაო" წარსულს ჩაბარდა. ამერიკა დადგება პირველ ადგილზე ("America First") და სწორედ მისი სიტყვა არის იმ ისტორიული ერის ათვლის წერტილი, როცა ქვეყანაში ძირეული გარდაქმნები მოხდება. დაპირება "სამსახურების, საზღვრების, სიმდიდრისა და ოცნებების" დაბრუნების შესახებ არის ის, რაც მას ამერიკის აღორძინებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებად მიაჩნია. ამავე აღორძინების დაპირებას ეხმიანება მის მიერ 2020 და 2024 წლებში პოპულარიზებული სლოგანი ამერიკის დიდების დაბრუნების შესახებ - "Make America Great Again". სიტყვა "ისევ" ხაზს უსვამს პალინგენეზის ციკლურ ბუნებას - ამერიკა იყო დიდებული, დაეცა და უნდა აღდგეს. მისი დაპირებები "ჭაობის დაშრობასა" და "კედლის აშენებასთან" დაკავშირებით პალინგენეზის ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში "ჭაობის დაშრობა" შიდა პოლიტიკურ ელიტას მიემართება, გრიფინისეულ ულტრანაციონალიზმის თეორიაში ის კავშირშია აღორძინებასთან. ულტრანაციონალისტურ დისკურსში ლიბერალური ელიტა აღქმულია, როგორც გლობალისტური ძალების მოკავშირე, რომელიც ხელს უწყობს "უცხო სხეულების" შემოჭრას. ხოლო ამ უკანასკნელის წინააღმდეგ და ერის ერთიანობის ფიზიკურ სიმბოლოდ შეიძლება ტრამპის დაპირებული "დიდებული კედელი" აღვიქვათ მექსიკის საზღვართან.

ბრიტანეთის შემთხვევაში პალინგენეზი არის სუვერენიტეტის დაბრუნება. ბრექსიტის კამპანიის სლოგანი: "დავიბრუნოთ კონტროლი" (Take Back Control) ულტრანაციონალისტური ძალების ნარატივის მიხედვით, ბრიტანული სახელმწიფოსა და ერისთვის ევროკავშირის სტრუქტურების მიერ წართმეული ავტონომიისა და სუვერენიტეტის დაბრუნების გეგმას ასახავს. თუ ევროკავშირის წევრობა ბრიტანული ულტრანაციონალიზმისთვის ეროვნული დეგრადაციის მიზეზი და სიმბოლო იყო, დაპირება "საზღვრებზე, ფულსა და კანონებზე კონტროლის დაბრუნების" შესახებ პალინგენეტიკური

პროექტია. პალინგენეზი, როგორც განვიხილეთ, არის ერის ხელახლა დაბადების მითი, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია როგორც არა მარტო ბიუროკრატიული და ტექნიკური პროცესების ცვლილება, არამედ აქტი, რომელიც ელექტორატს იმ სუვერენულ მდგომარეობაში დაბრუნებას ჰპირდება, როცა ერი საკუთარი ბედის ერთპიროვნული განმკარგველია. ამ კონტექსტში, საზღვრებსა და კანონებზე ხაზგასმა წარმოადგენს ულტრანაციონალისტურ რეაქციას გრიფინისეული "უცხო სხეულების" მიმართ, რომლებიც ერის ორგანულ მთლიანობას არღვევენ. ბრიტანეთის შემთხვევაში ეს არის ინსტიტუციური საფრთხე, რომელსაც ბრიუსელის ბიუროკრატია წარმოადგენს, და დემოგრაფიული საფრთხე არალეგალური მიგრანტების სახით. გრიფინის მიხედვით, ორივე მათგანი დეგრადაციის გამომწვევ ფაქტორად აღიქმევა და ერის სუვერენიტეტის აღდგენის მიზნით ჩამოშორებული უნდა იქნას.

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში პალინგენეტიკური მითის საფუძველი ერის აღდგენა, რესტავრაციაა იდეალიზებულ წარსულზე დაყრდნობით, თუმცა ამერიკის შემთხვევაში ,,ტრამპიზმი" ერის ლიბერალური ელიტისა და მიგრანტებისგან გათავისუფლებას ნიშნავს. ხოლო, ,,ბრექსიტი" ბრიტანული ულტრანაციონალიზმის მიხედვით, ზენაციონალური აქტორისგან გათავისუფლებასა და სუვერენიტეტის აღდგენას ისახავს მიზნად.

როჯერ გრიფინის მიხედვით (1991), პალინგენეზი საჭიროებს ქარიზმატულ ფიგურას, რომელიც ერს გააერთიანებს და ახალი, უკეთესი მომავლისკენ წარუძღვება.

ამერიკულ კონტექსტში მობილიზაცია მთლიანად პერსონალიზებულია. დონალდ ტრამპი არის არა უბრალოდ პოლიტიკოსი და მოძრაობის ლიდერი, არამედ უაღრესად ქარიზმატული ლიდერი, რომელიც პალინგენეზს განასახიერებს. მისი ქარიზმა ეფუძნება მის ,,აუტსაიდერის" იმიჯს, რომელიც ვაშინგტონის ლიბერალურ ელიტას უპირისპირდებოდა. ის პრეზიდენტობამდე არ ყოფილა ვაშინგტონელი პოლიტიკოსი, რომელსაც მემარჯვენე ელექტორატი სკეპტიკურად უყურებს, რამაც ბოლო წლამდე მის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი განაპირობა. დღესდღეობით, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური მოძრაობა "MAGA" სწორედ დონალდ ტრამპის ფიგურისა და მისი ქარიზმის ირგვლივ ჩამოყალიბდამის გარეშე კი აღორძინების პროექტი, ფაქტობრივად, აზრს კარგავს.

რაც შეეხება ბრიტანეთს, ამ შემთხვევაში არ არსებობს ისეთი ცალსახად გამოხატული და შეუცვლელი ქარიზმატული ლიდერი, როგორიც ტრამპია. კამპანიის მსვლელობისას პოლიტიკური მობილიზაცია მოხდა "კონტროლის დაბრუნების" იდეის გარშემო.

ამრიგად, "ტრამპიზმი" წარმოადგენს ლიდერზე ორიენტირებულ, ხოლო "ბრექსიტი" იდეაზე ორიენტირებულ პალინგენეზს. ეს დივერგენცია მიუთითებს იმაზე, რომ

ულტრანაციონალიზმი სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემასთან სხვადასხვაგვარად ადაპტირდება. ამერიკის საპრეზიდენტო სისტემაში, ის ძლიერ, ქარიზმატულ ლიდერს საჭიროებს, ხოლო ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემაში კი, მძლავრ ნარატივს, რომლის პერსონიფიკაციაც არ ხდება.

როგორც ზემოთ აღნიშნულ კვლევაში განვიხილეთ, ულტრანაციონალიზმის მთავარი საყრდენი - მითი პალინგენეზის, ანუ ეროვნული აღორძინების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში თავს იჩენს "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" სახით. მათი შედარებითი ანალიზი სამი მთავარი, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რომლებსაც წარმოადგენს ეროვნული დეგრადაციის, აღორძინებისა და ქარიზმატული ლიდერის ფაქტორი. როგორც ლიტერატურის მიმოხილვამ გამოკვეთა, ორივე შემთხვევაში ულტრანაციონალისტური დისკურსის ლეგიიტიმაციის საფუძველი ერის დაცემის მითია, რომელიც ამერიკის შემთხვევაში სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ "სასაკლაოში" გამოიხატება. ბრიტანეთში კი, წართმეული სუვერენიტეტის ნარატივში. ამ დეგრადაციაზე დაყრდნობით საერთო საფუძველი აქვს პალინგენეზის პროექტებსაც, თუმცა "ტრამპიზმი" ამერიკას "ჭაობისა" და მიგრაციისგან ათავისუფლებას, "ბრექსიტი" კი წართმეული სუვერენიტეტის დაბრუნებას ემსახურება. მკაფიო განსხვავება კი მესამე კრიტერიუმში მდგომარეობს, რომელიც "ტრამპიზმში" მკაფიოდ გამოხატულ ქარიზმატულ ლიდერს ეხება, "ბრექსიტის" კამპანიაში კი ელექტორატის მობილიზაცია არაპერსონალიზებული იდეის გარშემო ხდება.

კვლევის შედეგები

ამერიკის შეერთებული შტატები: „ტრამპიზმი"

ამერიკის შეერთებულ შტატებში ულტრამემარჯვენე პოპულისტური დისკურსის აღზევება 2016 წელს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ოვალურ ოფისში მოსვლასთან ერთად იწყება. როგორც აღინიშნა, რიტორიკა აშკარა იყო მის საინაუგურაციო სიტყვაში, სადაც პრეზიდენტმა ისაუბრა ამერიკული საზოგადოების ამჟამინდელ "პრობლემებზე", რომლებიც მისი სათავეში მოსვლისთანავე წარსულს ჩაბარდება. განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი განცხადებები ამერიკული ინდუსტრიის ფასად არა-ამერიკული ინდუსტრიების გამდიდრების შესახებ და მნიშვნელობა, რომელსაც ამერიკელი ხალხის ერთობას და ახალი ძალებით აღორძინებას ანიჭებს. ეს ის კრიტერიუმია, რომელსაც გრიფინი ულტრანაციონალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ საყრდენად მიიჩნევს - ეროვნული დეგრადაციის ნარატივი. თუმცა, იმისათვის, რომ იდეოლოგიას პოპულისტური ულტრანაციონალიზმი დავარქვათ, მხოლოდ ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილება საკმარისი არ არის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია

ერის თავიდან დაბადება, აღორძინება ეროვნული დეგრადაციის პერიოდის შემდეგ. "ამერიკული სასაკლაო სრულდება აქ და სრულდება ახლა" არის დაპირება, რომელიც ტრამპმა ამერიკელ ერს მისცა პირველი საპრეზიდენტო ვადით არჩევის შემდეგ. ამის შესრულებას იგი ვაშინგტონში არსებული "ჭაობის დაშრობითა" და ძალაუფლების ხალხისთვის გადაცემით აპირებს. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ პროცესებში შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოპულისტური რიტორიკა. აქსიომაა, დემოკრატიულ სისტემაში ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, თუმცა ლიდერების მიერ პოლიტიკურ იარაღად ქცეული ნარატივი ძალაუფლების ხალხისთვის გადაცემის შესახებ ნაკლებადაა ალტრუიზმისა და დემოკრატიის მიმართ სიყვარულის გამოხატულება, რადგან იმთავითვე გულისხმობს მტკიცებას: აქამდე ძალაუფლება საზოგადოებას არ ეკუთვნოდა, ეს მხოლოდ კონკრეტული ლიდერის მოსვლის შემდეგ გახდა (გახდება) შესაძლებელი, რაც პალინგენეზის პროცესის ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პროცესი დინამიურია და მასზე გავლენას არაერთი სოციო-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორი ახდენს, მნიშვნელოვანია ცალკეული პიროვნებების როლი. პოპულისტური ულტრანაციონალიზმი ნაშრომში ქარიზმატული ლიდერის ელემენტით განისაზღვრება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ლიდერი ტრამპია, რომელიც მემარჯვენე ელექტორატში მისი ქარიზმისა და არაორდინალური ხასიათის წყალობით სიმპათიებით სარგებლობს. მან 2025 წლის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შეძლო რესპუბლიკელ ამომრჩეველთა არნახული მასშტაბებით მობილიზება და ცნობილი სლოგანის მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე ლოიალურ მხარდამჭერთა ჯგუფის ჩამოყალიბება.

აღნიშნული სამი კრიტერიუმის თანხვედრა "ტრამპიზმის" ფენომენში მიუთითებს მისი ულტრამემარჯვენე-პოპულისტური ბუნების შესახებ.

დიდი ბრიტანეთი: "ბრექსიტი"

2016 წელს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ატლანტიკის რეგიონისა და ევროკავშირისთვის, ბრიტანულმა საზოგადოებამ ევროკავშირიდან გამოსვლას მხარი დაუჭირა. აღნიშნული მოვლენა ნაშრომში განიხილება როგორც პოპულისტური ძალების აღზევების შედეგი და გამოვლინება.

"ბრექსიტის" მომხრეები გადაწყვეტილებას ბრიუსელის ბიუროკრატიის ბრიტანეთის პოლიტიკურ კულტურასთან შეუსაბამობით ხსნიდნენ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ამ

უკანასკნელისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ეროვნული დეგრადაციის ელემენტი ამ კონტექსტში მოიაზრება სახელმწიფოებრიობასთან, სუვერენიტეტთან მიმართებით, რომლის სრულად განხორციელებას ბრიტანეთი ვერ ახერხებს ევროკავშირის ფარგლებში. ამ სუპრანაციონალურ ორგანიზმს მითვისებული აქვს ბრიტანეთის ეკონომიკის, პოლიტიკური თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფონზეც ხდება ერის დეგრადაცია - ესაა ფორმულა, რომლითაც შესაძლებელია ბრექსიტის კამპანიის დიდი ნაწილი განვიხილოთ.

პალინგენეზის, ეროვნული აღორძინების პროცესი კი პირდაპირ ეხმიანება დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენას მაშინვე, როგორც კი ქვეყანა ევროკავშირის სტრუქტურებიდან გამოვა. ამის დაპირებაა "ბრექსიტის" კამპანიის სლოგანი "კონტროლის დაბრუნების" შესახებ. კონტროლის დაბრუნება "საზღვრებსა, ფულსა და კანონებზე" პირდაპირ გულისხმობს ეროვნულ აღორძინებას, რადგან მოიაზრებს დაშვებას, რომ ბრიტანეთს ოდესღაც სრული კონტროლი ჰქონდა სამივე ელემენტზე, ევროკავშირში შესვლის შემდგომ დაკარგა, თუმცა ახლა დაბრუნება შესაძლებელია - გრიფინის თეორიის მიხედვით, სწორედ ასეთი გარდაქმნაა პალინგენეზი.

საინტერესოა, რომ "ბრექსიტის" კამპანიის პროცესში არ ვხვდებით ქარიზმატულ ლიდერს. ცხადია, პოლიტიკურმა ლიდერებმა, რომლებსაც გარკვეული ქარიზმა გააჩნდათ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პროცესებში, თუმცა პოლიტიკური მნიშვნელობით "ქარიზმატულ ლიდერს" ვერ ვხედავთ. აქ საზოგადოების მობილიზაცია ხდება არა კონკრეტული პიროვნების, არამედ არაპერსონიფიცირებული იდეის გარშემო, რომელიც იყო კონტროლის დაბრუნება. ბრიტანული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ეს ბევრად უფრო მოქნილი გამოდგა, რადგან ამ კონსერვატულ საპარლამენტო სისტემაში ცალკეული ქარიზმატული ლიდერის ელემენტი არაა იმდენად ეფექტური, რამდენადაც, მაგალითად, საპრეზიდენტო თუ ავტოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში.

ამგვარად, "ბრექსიტის" კამპანიის მიმდინარეობისას აქცენტი, გამოკვეთილი ქარიზმატული ლიდერისსგან დამოუკიდებლად, სუვერენიტეტის დათმობით გამოწვეულ სამართლებრივ და კულტურულ შეუსაბამობაზე გაკეთდა, რასაც ბრიტანეთი ევროსტრუქტურებიდან გამოსვლის შემდეგ დაიბრუნებდა.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შემთხვევების შედარებითი ანალიზი

ძირითადი თეორიის საფუძველზე ჩატარებული შედარებითი ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა რამდენიმე ფუნდამენტური მიგნება, რომელიც პასუხობს საკვლევ კითხვებს ულტრანაციონალიზმის გამოვლინებების შესახებ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში "ტრამპიზმისა"

და "ბრექსიტის" კონტექსტში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა გრიფინის პალინგენეზის თეორიაზე დაყრდნობით დადგენილიყო, როგორ ხდებოდა წარსულის დიდების მითოლოგიზაცია პოლიტიკური მობილიზაციისთვის აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის კონტექსტში. ხოლო კვლევის ამოცანები მდგომარეობდა შემდეგში: პალინგენეტიკური ულტრანაციონალიზმის ცნების თეორიული ჩარჩოს გაანალიზება, განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე "ტრამპიზმისა" და "ბრექსიტის" მსგავსება-განსხვავებების დადგენა და მათი შედარებითი ანალიზი.

აღნიშნულმა კვლევამ დაადგინა, რომ "ტრამპიზმი" და "ბრექსიტი" სრულიად თავსდება გრიფინის მიერ შექმნილ თეორიულ ჩარჩოში. ორივე ფენომენის ბირთვს წარმოადგენს პალინგენეტიკური მითი - ეროვნული დეგრადაციისა და კონკრეტული პოლიტიკური ძალისა და იდეოლოგიის მიერ აღორძინების, "ოქროს ხანის" დაწყების შესახებ. ორივე შემთხვევაში აქცენტი ერთ დროს დიდებული ერი-სახელმწიფოს დეგრადირებულ სტატუს-ქვოზეა გაკეთებული, რომელიც არსებული ლიბერალური წესრიგის დაშლის შედეგად დაბრუნდება. თუმცა, მთავარი განსხვავება დეგრადაციის გამოვლინებებსა და მიზეზებში მდგომარეობს. "ტრამპიზმის" ამერიკის შეერთებული შტატების დეგრადაცია სხვადასხვა კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით გამოვლინდება, რომლის მიზეზიც ვაშინგტონის კორუმპირებული ლიბერალური ელიტა და არალეგალური მიგრანტებია. პარალელურად, ბრიტანეთში ეროვნული "დაცემა" ულტრანაციონალისტების მიერ სუპრასახელმწიფოებრივი ორგანიზმის მიზეზითაა ახსნილი, რომელიც შეუსაბამობაშია ბრიტანულ პოლიტიკურ კულტურასა და ისტორიასთან.

უშუალოდ პალინგენეზის პროცესი კი ამერიკის შეერთებულ შტატებში "ჭაობის დაშრობითა" და გარე დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებით მოხდება, ბრიტანეთის შემთხვევაში კი ეს ევროკავშირიდან გამოსვლით უნდა მომხდარიყო, რომლითაც ერთიანი ბრიტანული საზოგადოება სუვერენიტეტსა და საკუთარ კანონებსა და საზღვრებზე კონტროლს დაიბრუნებდა. ტრამპის რიტორიკაში "ჭაობის დაშრობა" და სამხრეთის საზღვარზე "დიდებული კედლის" აგება ერის ორგანული მთლიანობის აღდგენის ფუნქციას ასრულებს. კვლევამ აჩვენა, რომ ეს მეტაფორები ემსახურება ერთიანი ერის "უცხო სხეულებისგან" გამიჯვნას მისივე აღორძინებისთვის.

ნაშრომის საფუძველზე გამოიკვეთა ამ ორი შემთხვევის განმასხვავებელი ნიშანი - ქარიზმატული ლიდერის როლი. აშშ-ს შემთხვევაში ულტრანაციონალისტური იდეები პერსონიფიცირებულია დონალდ ტრამპის სახით, რასაც ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სპეციფიკა განაპირობებს, რომელიცაა საპრეზიდენტო საარჩევნო სისტემა, სადაც ცალკეულ ლიდერებს პოლიტიკურ პროცესებში განმსაზღვრელი როლი ენიჭებათ. რაც შეეხება

“ბრექსიტის” კამპანიას, არ არსებობდა მკაფიო და შეუცვლელი ქარიზმატული ლიდერი, რომელიც იდეოლოგიას განასახიერებდა, არამედ საზოგადოების პოლიტიკური მობილიზაცია მოხდა არაპერსონიფიცირებული იდეოლოგიის ირგვლივ, რომელიც კამპანიის სლოგანში იყო გამოხატული. თავის მხრივ, ამას ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემის სპეციფიკა განაპირობებდა.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პალინგენეტიკური ულტრანაციონალიზმი არის საერთო ძირითადი ფუნდამენტის მქონე, თუმცა მაღალი ადაპტაციის უნარით გამორჩეული იდეოლოგიური სისტემა, რომელმაც წარმატებით მოახდინა ტრანსფორმაცია კონსოლიდირებულ დემოკრატიებში: აშშ-ს საპრეზიდენტო სისტემაში ის ქარიზმატული ლიდერის სახით გაცხადდა, ხოლო ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემაში სუვერენიტეტის დასაბრუნებლად შექმნილი პროექტის სახე მიიღო.

დასკვნა

ბოლო ათწლეულის მანძილზე ლიბერალური დემოკრატია “კარგი მმართველობის” უალტერნატივო მოდელად და სახელმწიფო მოწყობის ერთადერთ ლეგიტიმურ ფორმად მიიჩნეოდა, თუმცა თანამედროვე ეტაპზე გავრცელებული ულტრანაციონალისტური დისკურსი და ტენდენციები არსებულ სტატუს-ქვოს არყევს. აღნიშნული ფენომენის მეცნიერული ანალიზი საჭიროა იმ თეორიული საფუძვლების გამოსაკვეთად, რომელიც კონსოლიდირებულ დემოკრატიების პირობებში რადიკალური ნარატივების ლეგიტიმაციას განაპირობებს.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე “ტრამპიზმისა” და “ბრექსიტის” შედარებითი ანალიზის საფუძველზე განიხილება აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მაგალითი, სადაც ულტრანაციონალისტურმა ნარატივმა იჩინა თავი. აღნიშნული პროცესების სიღრმისეული გააზრებისთვის წინამდებარე კვლევა ეყრდნობა როჯერ გრიფინის (1992) პალინგენეტიკური ულტრანაციონალიზმის თეორიულ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც შეირჩა აღნიშნული ორი პოლიტიკური ფენომენის შედარებისთვის საჭირო კრიტერიუმები: ეროვნული დეგრადაცია, აღორძინება და ქარიზმატული ლიდერის როლი. ამ სამი კრიტერიუმის ფონზე ნაშრომში სიღრმისეულადაა განხილული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მათი მსგავსება-განსხვავებები.

მათ საერთო აქვს ეროვნული დეგრადაციისა და აღორძინების ანუ პალინგენეზის რეალიზაციის ნარატივი, რომელიც აშშ-ში ტრამპის საინაუგურაციო სიტყვას, დაპირებებსა და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სლოგანში გამოიხატა, ბრიტანეთში კი “ბრექსიტის”

კამპანიის სლოგანით გაცხადდა. მათი მთავარი განსხვავება კი ქარიზმატული ლიდერის როლში მდგომარეობს, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრიტანეთისგან განსხვავებით, გადამწყვეტი ფუნქცია აკისრია.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ "ტრამპიზმი" და "ბრექსიტი" გრიფინის პალინგენეზის საერთო თეორიულ ლოგიკას ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფენომენი ერის "ხელახლა დაბადების" მითს ეყრდნობა, თუმცა მათი გამოვლინების ფორმები ადგილობრივ პოლიტიკურ კონტექსტზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში, ნაშრომი ადასტურებს, რომ კონსოლიდირებულ დემოკრატიებში ულტრანაციონალიზმი არის მაღალი ადაპტაციის უნარის მქონე მოვლენა, რომელიც ლიბერალური სისტემის კრიზისს ეროვნული აღორძინების მძლავრი ნარატივით პასუხობს.

გამოყენებული ლიტერატურა

Griffin, R. (1992). *The Nature of fascism.* Taylor & Francis.

Lieven, A. (2004). *America right or wrong: An anatomy of American nationalism.* Oxford University Press.

Freedom House. (2025). *Freedom in the world 2025.*
https://freedomhouse.org/country/united-states/freedom-world/2025

Freedom House. (2025). *Freedom in the world 2025.*
https://freedomhouse.org/country/united-kingdom/freedom-world/2025

Keating, M. (2021). *"Taking back control? Brexit and the territorial constitution of the United Kingdom"*. 491-509.
https://doi.org/10.1080/13501763.2021.1876156

Trump, D.J. (2017, 20 January). *Inaugural address* [Speech]. The White House.
https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/the-inaugural-address/

Public Affairs Council. (2024, 25 January). *Will Trump really drain the swamp?*
https://pac.org/impact/will-trump-really-drain-swamp

May, T. (2017, 17 January). *The Government's negotiating objectives for exiting the EU: PM speech* [Speech]. GOV.UK.
https://www.gov.uk/government/speeches/the-governments-negotiating-objectives-for-exiting-the-eu-pm-speech

HM Government. (2018, November). *EU Exit: Taking back control of our borders, money and laws, while protecting our economy, security and Union.*
https://assets.publishing.service.gov.uk/media/5bfe7d6c40f0b65b14fc6631/28_November_EU_Exit_-_Taking_back_control_of_our_borders__money_and_laws_while_protecting_our_economy__security_and_Union__1_.pdf

EBSCO. (n.d). *Make America Great Again (slogan)*. Research starters: Communication and Mass Media.
https://www.ebsco.com/research-starters/communication-and-mass-media/make-america-great-again-slogan

Felbab-Brown, V. (2017, August). The Wall: The real cost of a barrier between the United States and Mexico. Brookings Institution.
https://www.brookings.edu/articles/president-trumps-border-wall/